სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

13 / დეკემბერი / 2024 წ.

KA080191953145124

№ **3518**

განკარგულება

შპს „გაფა ბიზნესის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სს „საქართველოს რკინიგზა“;

ტენდერის ნომერი: NAT240013147;

შესყიდვის ობიექტი: 30200000 – კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები;

მიმწოდებელი: შპს „გაფა ბიზნესი“ (ს/ნ: 415101909);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 21 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს რკინიგზის“ 2024 წლის 21 ნოემბრის № 5/6-0171-25 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 9785), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გაფა ბიზნესის“ (ს/ნ: 415101909) მიერ NAT240013147 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 6 აგვისტოს № შს/24-148 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის business@gafa.ge მეშვეობით, 2024 წლის 21 ნოემბრის № 3341 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 27 ნოემბერს წარმოადგინა 2024 წლის 27 ნოემბრის № 27112024 განმარტება მის მიერ NAT240013147 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 6 აგვისტოს № შს/24-148 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არ ასრულებდა 2024 წლის 6 აგვისტოს № შს/24-148 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს,

რის გამოც მას შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 16 ოქტომბრის № 4649 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, მას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა Shenzhen Burzion Technology Co., Ltd-ს მიერ წარმოებული პლანშეტური კომპიუტერები, კერძოდ, მოდელი - Bt023. შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციით ითხოვდა სპეციფიური ტექნიკური მახასიათებლების მქონე პლანშეტურ კომპიუტერებს, შეთავაზებული მოდელი კი არ იყო ჩაშვებული სერიულ წარმოებაში და იწარმოება ინდივიდუალურად შეკვეთის შემთხვევაში. 2024 წლის 21 აგვისტოს მწარმოებელმა კომპანიამ მიმწოდებელს შეატყობინა, რომ პლანშეტური კომპიუტერების წარმოება დასრულდა, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ გაიარა ტესტირება და შესყიდვის ობიექტს აღმოაჩნდა დეფექტი, რაც ხელს უშლიდა სრულყოფილ მუშაობაში. აღნიშნულის შედეგად, საჭირო გახდა პლანშეტური კომპიუტერების ხელახლა წარმოება, რაც მოითხოვდა იმაზე მეტ დროს ვიდრე განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით. მიმწოდებელმა, 2024 წლის 17 სექტემბრის № 17092024 წერილით, მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ შეცვლილიყო შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი და მოდელი, თუმცა შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 6 აგვისტოს, NAT240013147 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „გაფა ბიზნესს“ (ს/ნ: 415101909) შორის დაიდო № შს/24-148 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (45 ცალი პლანშეტური კომპიუტერი) მისი გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 21 304, 78 აშშ დოლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 30 ნოემბერი.

4.2. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა 2024 წლის 17 სექტემბრის № 17092024 წერილით, სადაც აღნიშნავს, რომ ჩინურმა კომპანია Shenzhen Burzion Technology Co., Ltd-მა, წინასწარ შეთანხმებულ ვადაში, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სრულად დაამზადა კომპანიის მიერ ტენდერში შეთავაზებული პლანშეტური კომპიუტერები, თუმცა, ტესტირების ეტაპზე ყველა მათგანს აღმოაჩნდა ქარხნული დეფექტი, კერძოდ, პლანშეტური კომპიუტერის სქემას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი დეტალი იყო აღნიშნულ მოწყობილობაში და პასუხისმგებელი იყო მის გამართულ მუშაობაზე, ჰქონდა გარკვეული ხარვეზები, რაც ხელს უშლიდა, პირველ რიგში, სქემის და საბოლოო ჯამში, პლანშეტური კომპიუტერის გამართულ მუშაობას, რის გამოსასწორებლადაც საჭირო იყო 70 ან მეტი დღე. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა თხოვნით, რომ შეცვლილიყო შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი და მოდელი. შესაბამისად მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა, რომ საქონლის სრულად ჩაბარების ვადად განსაზღვრულიყო ხელშეკრულების ცვლილების შესახებ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღე.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 4 ოქტომბრის №4484 წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელს არ ჰქონდა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამასთან ამოწურული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა, რის გამოც მიმწოდებელს უარი ეთქვა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელი გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და დააკისრა პირგასამტეხლო.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 16 ოქტომბრის № 4649 წერილით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და ამავე წერილით მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გაფა ბიზნესს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება..

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ მიმწოდებელი არ ასრულებდა 2024 წლის 6 აგვისტოს №შს/24-148 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რასაც თავადვე ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილ განმარტებაში. საგულისხმოა ისიც, რომ მიმწოდებელს ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა სატენდერო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შეეფასებინა საკუთარი შესაძლებლობები და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ მიეღო ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა, რამდენადაც სატენდერო წინადადების წარდგენითა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიეწოდებინა უშუალოდ მის მიერ შეთავაზებული საქონელი. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „გაფა ბიზნესს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გაფა ბიზნესს“ (ს/ნ: 415101909) 2024 წლის 16 დეკემბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.